

# კარგოვილის კვება, დაეხმადებთან, მეხნებლებთან და სარეველებთან ბრძოლა



ეკო-გრანტების პროგრამა ინიცირებული და დაფინანსებულია კომპანია ბი-პი-ს და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობისა და სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის პროექტების ფარგლებში და ხორციელდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის, სი-თი-სის მიერ. აქ მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ბი-პის, მისი პარტნიორების და სი-თი-სის მოსაზრებებს.

## კარტოფილის საკვები ელემენტები

კარტოფილი ნიადაგის ნაყოფიერებისადმი მომთხოვნი კულტურაა. მაღალი მოსავლის მიღება შესაძლებელია ორგანული სასუქებით განოყიერებულ ნიადაგზე. საკვები ელემენტებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით იგი მოითხოვს კალიუმს — ბოლქვების ფორმირებისთვის, აზოტს — ზრდისათვის, ფოსფორს — მომწიფებისთვის.

ორგანულ-მინერალური სასუქების ძირითადი შეტანა ხდება ნიადაგის მოხვნის წინ ან დარგვამდე 1-2 თვით ადრე. მინერალური სასუქების შეტანა შესაძლებელია უშუალოდ დარგვის დროსაც.

1 ჰა-ზე 60-80 ტონა გადამწვარი ნაკელის, ან 8-10 ტონა ბიოჰუმუსის შეტანისას, მინერალური სასუქების გამოყენება არ არის საჭირო.

ორგანული სასუქის არ ქონის შემთხვევაში გამოიყენება მინერალური სასუქები. მინერალური სასუქების შეტანის ნორმები განისაზღვრება ნიადაგის ნაყოფიერების, დაგეგმილი მოსავლის რაოდენობის და მცენარის საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილების მიხედვით. შესაბამისად, რეკომენდირებულია კარტოფილის დარგვამდე ნიადაგის ანალიზის გაკეთება.

გამოთვლილია რომ 10 ტონა ტუბერის მოსავლის მისაღებად საჭიროა:

- აზოტი 50 კგ,
- ფოსფორი 16-20კგ
- კალიუმი 80-90კგ
- კალციუმი 30-40კგ
- მაგნიუმი 20კგ

საქართველოში რეკომენდირებულია ჰექტარზე შესატანი სასუქების შემდეგი დოზები: აზოტი 90-120 კგ/ჰა-ზე, ფოსფორი 120-150 კგ/ჰა-ზე, კალიუმი 120-180 კგ/ჰა-ზე. (მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით). ფოსფორი და კალიუმი შეაქვთ ერთად კომბინირებული სასუქის სახით (8-24-24 ან 10-26-26), ხოლო აზოტოვანი სასუქები თესვის წინ, თესვი და მიწის შემოყრის დროს. ამისათვის იყენებენ ბაზარზე

არსებულ ამოტოვან სასუქებს: ამონიუმის სულფატი ან ამონიუმის გვარტილა ან შარდოვანა (კარბამიდი). სასუქების შეტანა ხდება სასუქის გამფანტველებით ან სათესი აგრეგატებით.

შეთვისების კოეფიციენტის გათვალისწინებით ყოველი ერთი ტონა პროდუქციის საწარმოებლად, წვეთოვანი მორწყვის შემთხვევაში, საჭიროა — 4.4 კგ. ამოტი (N), 2.5 კგ. ფოსფორი (P2O5), 8.5 კგ. კალიუმი (K2O).



კარტოფილი საკვებ ელემენტების ყველაზე მეტ რაოდენობას მოიხმარს მიწისზედა მასის ინტენსიური ზრდისა და ტუბერების წარმოქმნის პროცესში, ვეგეტაციის ბოლოსთვის საკვები ელემენტების მიწოდება მცირდება და ფოთლების გახმობის დაწყებიდან საერთოდ წყდება.

ძირითადი საკვები ელემენტებიდან კარტოფილი უპირველესად ყველაზე დიდი რაოდენობით მოიხმარს კალიუმს, შემდეგ ამოტს და ყველაზე ცოტა ფოსფორს. ეს ბიოლოგიური თავისებურება გვევლინება იმის მიზეზად რომ კარტოფილი ჩათვალეს კალიუმის მოყვარულ კულტურად და დაიწყეს უპირველესად კალიუმიანი სასუქების შეტანა. თუმცა გამოკვლევებით დადგინდა რომ, უმეტეს ნიადაგებზე ის მოსავლის მატებას იძლევა ამოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქების შეტანისას. ეს აიხსნება უმეტეს საწარმოებელი ნიადაგებში ადვილად შესათვისებელი კალიუმის უფრო მაღალი შემცველობით ვიდრე ამოტისა და ფოსფორისა.

ცალკეული ელემენტებით არასაკმარისი უზრუნველყოფა ანუ დეფიციტი იწვევს მცენარის სხვადასხვა ორგანოების ცვლილებებს, ეს განსაკუთრებით აისახება ფოთლებზე და შეიძლება განსაზღვრული იქნეს გარეგნული სახით.

## კალიუმის დეფიციტი

კალიუმი აუცილებელია ფოტოსინთეზის, ცილოვანი და ნახშირწყლოვანი მიმოცვლის პროცესებისათვის.

K - დეფიციტის ნიშნები კარტოფილის ხნიერ ფოთლებზე



## აზოტის დეფიციტი

ნიადაგში აზოტის დეფიციტის დროს აღინიშნება კარტოფილის მიწისზედა ორგანოების სუსტი განვითარება, ქვედა ფოთლები ღია მწვანე შეფერილობისაა, ნაადრევად ყვითლდებიან და კვდებიან.

ღეროები წვრილია, სწორმდგომი, მცირდება მცენარის შეფოთვლა, ფოთლოვანი აპარატის პროდუქტიული მუშაობა და ტუბერების მოსავლიანობა. ფოთლები წვრილია.

### 1. ფესვთა სისტემის განვითარება (2-3 ამონაყარი):

დედა ტუბერი გვევლინება მთელი მცენარის საკვები ელემენტების წყაროდ, ამ პერიოდში აზოტი და სხვა საკვები ელემენტები საჭირო არაა.



2. ფოთლების და ღეროების შემდგომი ფორმირება, რიგების შეკვრამდე: მიმდინარეობს მცენარეთა მიერ აზოტის აქტიური შეთვისება საასიმილაციო (ფოთლოვანი) აპარატის შესაქმნელად, თუმცა აზოტის შეთვისება მიმდინარეობს რიგების შეკვრის შემდეგაც (ყვავილობისას).



ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართავენ ნელა მოქმედი აზოტოვანი სასაუქების შეტანას დარგვამდე ან უშუალოდ დარგვისას მაგ. შარდოვანა (კარბამიდი), ეს ხელს უწყობს ნიადაგში აზოტის შენარჩუნებას რადგან ისინი ნელა გამოირეცხებიან ნიადაგიდან.

## აზოტის სიჭარბე

აზოტოვანი სასუქებით გადაჭარბებული კვებისას აღინიშნება მწვანე მასის ძლიერ ზრდა, ფოთი მუქი მწვანე შეფერილობისაა, ღეროები გრძელი, ადვილად წვება, ფოთლები ფართო, ფერხდება ტუბერების წარმოქმნა და გრძელდება ვეგეტაციის პერიოდი.

მცირდება მცენარეთა მედეგობა სხვადასხვა დაავადებების მიმართ და ხდება ნიტრატების დაგროვება.

აზოტის ნორმალური დოზებით კვებისას კარტოფილის მცენარე უკეთ ითვისებს კალიუმსა და ფოსფორს.

## ფოსფორის დეფიციტი

კარტოფილი აზოტთან და კალიუმთან შედარებით ფოსფორს უფრო ნაკლები რაოდენობით მოიხმარს, ეს ელემენტი აუცილებელია მცენარისათვის. ფოსფორის დეფიციტისას ქვედა ფოთლების ფირფიტაზე წარმოიქმნება მოყვითალო-რუხი ფერის ლაქები, ფოთლები ჩვეულებრივზე წვრილია, მცირდება მცენარეების დატოტვა, ფერხდება ბუტონიზაცია, ყვავილობა და ტუბერების წარმოქმნა, ყვავილები ცვივა, უარესდება ტუბერების გემოვანი თვისებები და სახამებლის შემცველობა

ძირითადი საკვები ელემენტების გარდა მცენარისათვის აუცილებელია კალციუმი, მაგნიუმი, ბორი, რკინა, გოგირდი და სხვა. მათი დეფიციტი უარყოფითად აისახება მცენარის ზრდა განვითარებაზე და მის გარეგნულ სახეზე.





მაგნიუმის (Mg) დეფიციტის დროს შუა ფოთლები იფარება მოყვითალო-მომწვანო ლაქებით, ლაქები განლაგებულია ფოთლების კიდეებზე და ძარღვებს შორის.

მარცხნივ Mg დეფიციტიანი ფოთოლი, მარჯვნივ ჯანსაღი ფოთოლი

კალციუმის (Ca) დეფიციტისას ზედა ფოთლები ძნელად იშლება, ზოგჯერ ზრდის წერტილი საერთოდ კვდება. ფოთლები კიდეებზე ჩნდება ღია ფერის ზოლები. ფოთლები იგრიხება ზევით. ყვავილობის წინ ღეროს კენწეროს ხმოზა და ფოთლის ფირფიტაზე მრავალრიცხოვანი ნასვრეტებისწარმოქმნა კალციუმის დეფიციტის ნიშნებია.



## მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლა

კარტოფლის ნათესებისთვის დიდი ზიანი მოაქვს ფიტოფტორას, ალტერნარიოზს, მაკროსპორიოზს, კოლორადოს ხოჭოს, ბუგრებს, ვირუსის გადამტან მწერებს, ჩრჩილს და სხვ., აგრეთვე სხვადასხვა სახის სარევეებს. ნათესები დარგვიდან მოსავლის აღებამდე სუფთა უნდა იყოს. ვეგეტაციის პერიოდში მავნებელ-დაავადებებთან და სარეველებთან საბრძოლველად 4-5 წამლობის ჩატარება იქნება საჭირო.

**კოლორადოს ხოჭოს** (*Leptinotarsa decemlineata* Say) წინააღმდეგ დათესვამდე რეკომენდირებულია ტუბერების დამუშავება (შენამვლა) შემდეგი პრეპარატებიდან ერთ-ერთით ნუპრიდი 150 გრ 1ტ სათესლე მასალაზე, პრესტიჟი 1 ლ 1 ტ სათესლე მასალაზე, სელესტოპი 0,4 ლ 1 ტ სათესლე მასალაზე (აღნიშნული პრეპარატები და დოზები იხსნება 10 -15 ლიტრ წყალში), ასეთი დამუშავება მთლიანად ხსნის ვეგეტაციის პერიოდში კოლორადოს ხოჭოს გაჩენისა და მისგან კარტოფილის ნათესების დაზიანების პრობლემას. ტუბერების დამუშავება ხორციელდება უშუალოდ დათესვის წინ, ზურგის საწამლი აპარატებით, ან დათესვის დროს აგრეგატის საშუალებით.



თუ დათესვამდე არ მოხდა სათესლე მასალის წინასწარი დამუშავება, მაშინ ვეგეტაციის პერიოდში კოლორადოს ხოჭოს გამოჩენისთანავე მიმართავენ ნათესი ფართობების დამუშავებას სხვადასხვა ინსექტიციდებით. კარათე, ფასტაკი მოსეტამი 0,1-0,2 ლ/ჰა-ზე; კონფიდორი, კაისო 0,3-0,35 კგ/ჰა-ზე და სხვა. აღნიშნული პრეპარატებით საჭიროა ნათესი ფართობების რამდენიმეჯერ დამუშავება, ინსექტიციდების მონაცვლეობით.

ნიადაგში მავთულა ჭიების არსებობის შემთხვევაში მიმართავენ გრანულირებული ინსექტიციდების ჩაკეთებას (ფორსი 30-40 კგ/ჰა, მარშალი 40-45 კგ/ჰა და სხვა, რომლებიც პირდაპირ შეაქვთ ნიადაგში თესვის დროს ან ცალკე)





**ფიტოფტორა** (*Leptinotarsa decemlineata* Say) კარტოფილის ყველაზე საშიში და მეტად გავრცელებული სოკოვანი დაავადებაა. აზიანებს ფოთლებს, ღეროს, ტუბერს. ფოთლებზე, დაწყებული ქვედა იარუსებიდან, წარმოიქმნება უფორმო, მუქი მონაცრისფრო ლაქები, რომლებიც თანდათან მატულობენ ზომაში. ფოთლები ჭკნება, შავდება და ხმება. ტენიან პირობებში ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეს წარმოიქმნება მურა ფერის ნაფიფქი. ღეროზე და ფოთლების ყუნწებზე ლაქები მურა შეფერილობისაა, წაგრძელებული ფორმის. ტუბერი ავადდება მცენარიდან ნალექების საშუალებით ჩამონადენი სპორებით. წარმოიშვება მსხვილი, მშრალი, ჩაზნექილი ლაქები. ტუბერის განაჭერზე შეიმჩნევა მურა ფერის ქსოვილები. დაავადება განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება ტენიან ამინდებში.



კარტოფილის ფიტოფტორისა და სხვა სოკოვანი დაავადებებთან საბრძოლველად რეკომენდირებულია შემდეგი პრეპარატების გამოყენება: ანტრაკოლი 2 კგ/ჰა-ზე, რაპიდ გოლდი 1,5კგ/ჰა-ზე, რაპიდ გოლდ პლიუსი 1,5 კგ/ჰა-ზე, მანკოცები სუპერი 2 კგ/ჰა-ზე, კადილაკი 2 კგ/ჰა-ზე, აკრობატი 2 კგ/ჰა-ზე, კოსაიდი 2,5-3 კგ/ჰა-ზე, მერპანი 2 კგ/ჰა-ზე, პოლირამი 2-2,5 კგ/ჰა-ზე და ა.შ. ნათესი ფართობების დამუშავება რეკომენდირებულია დაავადების ერთეული ნიშნების გამოჩენამდე (წვიმიან ამინდებში ან მორწყვის შემდეგ). პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული წამლობა გაცილებით ეფექტურია ვიდრე მკურნალობის მიზნით. დაავადების განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შემთხვევაში (მაღალი ტენიანობა, გადაბმული წვიმიანი ამინდები) ნათესები უნდა დამუშავდეს 7 დღეში ერთხელ, პრევენციის მიზნით 10-14 დღეში ერთხელ.

ფიტოფტორისა და სხვა სოკოვანი დაავადებების წინაამდგე პირველი-ორი დამუშავებისას მიმართავენ როგორც კონტაქტური, ისე სისტემური ფუნგიციდების გამოყენებას.

დაუშვებელია ზედმეტად ერთიდაიგვე ფუნგიციდის გამოყენება (გარდა სპილენძმემცველისა), აუცილებელია მათი მონაცვლეობა.

**რიზოქტონიოზი** სოკოვანი დაავადებაა, აზიანებს ფესვებს, ფესვის ყელს, ღეროს, ტუბერს. ავადმყოფობა განსაკუთრებით საშიშია, როდესაც ზიანდება ღივები. მინდვრის პირობებში ღეროს ლპობა, დაწყებული ფესვის ყელიდან, მის ზევით 8-10 სმ-მდე ვლინდება. დაავადება ტუბერზე შავი ტალახის მსგავსი გართხმული სკლეროციუმებით ხასიათდება. გაზაფხულზე ირგვება რა ასეთი ტუბერი, ღივებთან ერთად სოკოს სკლეროციუმებიც იღვიძებს და ახლად განვითარებული ღივების დასენიანებას იწვევენ. რაც უფრო ხანგრძლივია ღივების გამოტანის პროცესი (გრძელი გაზაფხული, ცივ ნიადაგში დარგვა) მით უფრო ინტენსიურად ზიანდება ისინი რიზოქტონიოზით.



**ალტერნარიოზი.** (*Alternaria solani* Sorauer) დაავადება ვლინდება მომრგვალო, იშვიათად კუთხოვანი ფორმის მურა ფერის, თითქმის შავი ლაქების სახით. დაავადების გამორჩენის პირველი ნიშნები ემთხვევა ბუტონიზაციის პერიოდს. ლაქები ზომასში იზრდება აღწევს 1-2 სმ-ს, შესაძლოა შეერწყას ერთმანეთს მსხვილი, ნეკროზული ზონების წარმოქმნით. ლაქების ზედაპირზე შეიმჩნევა კონცენტრული წრეები. ლაქებს შორის ქსოვილი თანდათანობით ყვითლდება.

ფოთლები დაწყებული მცენარის ძირითადი ღეროდან ხმება და ცვივა. დაავადების ძლიერი განვითარების დროს მცენარე მთლიანად იღუპება. ტუბერზე



წარმოიქმნება გაურკვეველი ფორმის რუხი, შავი, მშრალი, რბილი ჩაზნექილი ლაქები კონცენტრულად განწყობილი ზოლებით. მის წინააღმდეგ მიმართავენ ნათესი ფართობების დამუშავებას იგივე ფუნგიციდებით, როგორც ფიტოფტორის დროს.

## ხვატარები

ნაყამირალ ან ნაკლებად მოვლილ ფართობებზე ზოგჯერ თავს იჩენს სხვადასხვა სახეობის ხვატარებით მცენარეთა დაზიანება, მათ წინააღმდეგ რეკომენდირებულია ისეთი ქიმიური საშუალებების გამოყენება როგორცაა პირინექსი, ნურელ-დე, კარატე, აქტარა, აქტელიკი 0,2-0,25 % ხსნარის კონცენტრაციით.



მაღალი ტემპერატურების პირობებში ზოგჯერ ადგილი აქვს ინსექტიციდების მოქმედების შემცირებას, ამიტომ მაღალი ტემპერატურების დროს რეკომენდირებულია მცენარეთა დამუშავების ჩატარება დილით ან საღამოს

## მღრღნელები

მღრღნელები (ვირთაგვები, თაგვები, მემინდვრიები) დიდ საფრთხეს უქმნიან ადამიანის მიერ მოწეულ მოსავალს, შინაური ცხოველების საკვებს, ბაღებსა და მინდვრის კულტურებს.

საკვების არსებობისას მღრღნელების რიცხვი სწრაფად იზრდება, რასაც ხელს უწყობს მათი სწრაფი სქესობრივი სიმწიფე.

მათ გამრავლებას ხელს უწყობს თბილი შემოდგომა, ბუნებრივი მტრების (ცხოველები, ფრინველები) სიმცირე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მღრღნელების წინააღმდეგ ძლიერი მომწამვლელი ქიმიური პრეპარატების (მაგალითად, თუთიის ფოსფიდი) უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს თაგვის ბუნებრივი მტრების დიდი რაოდენობით განადგურება.

მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე ეფექტური ქიმიური საშუალებები ძირითადად გახლავთ ანტიკოაგულანტები.



პრაქტიკული სამუშაოებისთვის შემდეგ პრეპარატებს იყენებენ: ზოოკუმარინს, რატინდანს, ანტიკოაგულანტების ზეთოვან ნარევებს, ბაქტერიულ პრეპარატებს,

აგრეთვე, თუთიის ფოსფიდს, მონოფტორის და ა.შ. ბოლო ორი, მწვავედ მოქმედ საწამლავეებს წარმოადგენს და უფრო სახიფათოა შინაური ცხოველისა და მომსახურე პერსონალისთვის, ამიტომ ისინი ობიექტებზე გაცილებით სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა გამოვიყენოთ.

ეს პრეპარატები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შემადგენლობით, გამოყენების მეთოდით და ეფექტურობით. მათი მოხმარებისას აუცილებელია შესაბამისი რეკომენდაციების დეტალური გაცნობა და დაცვა.

როდენტიციდებიდან ყურადღებას იმსახურებს პრეპარატი – შტორმი; მოქმედი ნივთიერება – ფლოკუმაფენი ან კლერატი (მოქმედი ნივთიერება ბროდიფაკუმი 0,05 გ/კგ).

შტორმი ანადგურებს იმ მღრღნელებსაც, რომელიც გამძლენი არიან სხვა ანტიკოაგულანტი პრეპარატების მიმართ. მისი უპირატესობებია: კარგად შეექცევიან მღრღნელები, მაღალ ეფექტურია სხვა მისატყუებელთან შედარებით; აბები მოთავსებულია ცვილის გარსში და არ სველდება ნალექებისაგან; უსაფრთხოა – ცვილიანი აბები არ იფანტება და არ იშლება, გამორიცხულია სხვა ცხოველების მოწამვლა; ეკონომიურია – გამოიყენება დაბალი დოზებით.

მინდორში აბაბი შეაქვთ შემოდგომაზე, მოსავლის ალების შემდეგ ან გაზაფხულზე, როდესაც მღრღნელებს ბუნებრივი საკვების დეფიციტი აქვთ. ხარჯვის ნორმა 0,7-1,5 კგ/ჰა. აბები განთავსებული უნდა იყოს მღრღნელების სორებთან, თითო აბი 10-15 სმ დაშორებით.



## ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ

თანამედროვე მეკარტოფილეობაში ჰერბიციდების გამოყენება გვევლინება აუცილებელ ღონისძიებად. ნიადაგის მექანიკური დამუშავების არცერთ საშუალებას არ შეუძლია სრულად გაანადგუროს არსებული სარეველების ასორტიმენტი. სარეველა მცენარეების აღმოცენებამდე ჰერბიციდების გამოყენებით შეიძლება 70-85 % -ით შევამციროთ ერთწლოვანი ხოლო 34-45 %-ით მრავალწლოვანი სარეველებით ნარგავის დაბინძურება. ამისათვის გამოიყენება ზენკორი, რეისერი, პრომეტრინის და გლიფოსატის ჯგუფის ჰერბიციდები.

ზენკორი ან მისი ანალოგები, კარტოფილის აღმოცენებამდე ნიადაგზე შესხურებით 1-1,2 კგ/ჰა-ზე, არკადე 4-5 ლ/ჰა-ზე, მეტრიკი 1,5 ლ/ჰა-ზე. ნაკვეთების ძლიერი და სარეველიანების პირობებში კარტოფილის აღმოცენებამდე მიმართავენ ნათესი ფართობების დამუშავებას ტოტა-



ლური მოქმედების ჰერბიციდებით: კლინი, ურაგანი, ბერო და სხვა 3-5 ლ/ჰა-ზე.

კარტოფილის აღმოცენების შემდეგ 10-15 სმ სიმაღლის ფაზაში სარეველების წინააღმდეგ ნათეს ფართობებს ამუშავებ პრეპარატებით ზენკორი 0,5 კგ ჰა, ფიუზილად ფორტე ან სუპერი 2 ლ/ჰა, ტიტუსი 0,05 გრ/ჰა+ მიმწებებელ - ტრენდი.



დაუშვებელია ჰერბიციდების ჭარბი დოზების გამოყენება.

მაღალმთიან რეგიონებში ზოგჯერ ადგილი აქვს ნათესების დაზიანებას სეტყვით ან საგაზაფხულო ყინვებით, ამ დროს აუცილებელია მოხდეს დაზიანებული ფართობების დამუშავება ფუნგიციდებით.



დადებით ეფექტს იძლევა აგრეთვე ფუნგიციდებთან ერთად ფოთლოვანი კვების სასუქების (წყალში ადვილად ხსნადი NPK 18-18-18 ან 20-20-20 2-3 კგ/ჰა და სტიმულატორების (0,5-1 ლ/ჰა) შეტანაც.





## გამოცემის შესახებ

ბროშურა მომზადებულია პროექტის “მიწისა და წყლის რესურსების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა მიწის დეგრადაციის რისკის შესამცირებლად და მცირე მოწყვლადი მეურნეობების ეკონომიკური მდგრადობის გასაძლიერებლად” (2018-2019) ფარგლებში, რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია შ.პ.ს. “ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი” და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობისა და სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის პროექტების ფარგლებში და ხორციელდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის, სი-თი-სი-ს მიერ. პროექტის აღსრულება ხორციელდება „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ (REC Caucasus) მიერ.



დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

+995 32 2250775

info@rec-caucasus.org

www.rec-caucasus.org





თბილისი  
2019